ქართული აზრი

GEORGIAN OPINION

№ 80 ნიუ იორკი, მარტი, 1969 წ. NEW YORK, MARCH 1969

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ერმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრაამ ლინკოლნი. 1865 წ.

ნიუ იორკი, მარტი, 1969 წ.

ჩეხოსლოვაკია და ევროპა

30 წლის წინ, როდესაც ჰიტლერმა ჯარი შეუსია ჩეხოსლოვაკიას, ევროპა მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ის არა ხუმრობს და თავის „მაინ კამპფ“-ის მუხლობრივ განაღდებას ლამობდა.

მართალია დას. ევროპა იძულებული იყო ეს შესრულებული ფაქტი მიეღო, მაგრამ ამავე აქტმა მიაღიარინა ახალო-ფრანგული კოალიციას გარდაუყვეტილება, რომ ახალი ომის სამზადისი დაეწყო და ჰიტლერის მომავალი აგრესიისათვის იარაღით ეასუხა.

დღეს რუსეთის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა, იმდენად წაადგა ტაბლერის ეპოქას, რომ მან შეარყია არა მარტო სახელმწიფო ძოლაფწეების პოლიტიკა, არამედ მთელი თავისუფალი სამყაროს ფიქრი და აზრი.

ამ დაძაბულობაში აღსანიშნავია, თვით დასავლეთ ევროპის კომუნისტების პოზიცია. ფრანგ-იტალიურ კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებიც ხუთ მილიონზე მეტ წევრს აერიანებენ, საჯაროდ დაჰგმეს მოსკოვის მიმტაცებლობითი პოლიტიკა; კომუნისტურმა რუმინეთმა საყოველთაო მობილიზაციით უპასუხა, ხოლო ტიტიმ მესამე მსოფლიო ომის მოახლოების საშიშროება აღიარა.

დასავლეთ ევროპის ამგვარმა პოზიციამ ფარად ახადა რუსული დიპლომატიის შენიღბულობას და ქვეყნიერებას მისი ნამდვილი იმპერიალისტური სახე დაანახვა, ხოლო დასავლეთის მიერ ყალბად აღიარებული „მსოფლიო კომუნიზმიდან“, მხოლოდ სპრაული ნანგრევები ღა დარჩა.

ჩეხოსლოვაკიის მაგალითამდე, უკანასკნელი წლების მანძილზე, ევროპაში ერთგვარი ტენდენცია შეიქმნა, თითქოს, იმპერიალისტული ამერიკა და არა რუსეთი. ამას ხელს უწყობდა ძნელად ს.ახსნელი ვიეტნამის ომი; ამერიკის. კაპიტალი, რომელმაც, თითქმის მთელი ევროპის ბაზარი დ.აიპყრო„ ევროპელ ახალთაობის მასიური გადასახლება ამერიკაში, სადაც მათ განუს.აზღვრელი ასპარეზი ჰქონდათ უკეთესი ცხოვრების და წარმატების. ყოველივე ამან და რუსული დიპლომატიის ამ მიმართულებით აქტიურმა მუშაობამ ევროპიელ კოსსერვატიულ წრეებში ანტი ამერიკული გრძნობა წარმოშვა, ხოლო დაინტერესებულმა პიროვნებებმა კი ეს მოხერხრხებულად გამოიყენეს ევროპიდან ამერიკის განსადევნად. ანტიამერიკულ ევროპული ძალები რუსეთში ხედავდნენ ხსნას, „გალიბერალებული კომუნიზმი“ კი მათ ამერიკისან განმათავისუფლებელ ძალად მიიჩნიეს.

ამ განწყობილებამ ყველაზე მეტნენ საფრანგეთი. აიტაცა რაც რუსულმა დიპლომატიამ ოცი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა, ის საფრანგეთის პრეზიდენტმა ერთი ხელის მოსმით შეასრულა: ევროპის თავდაცვის ორგანიზაცია დასუსტა და მასში ბზარი შეიტანა.

მაგრამ რუსეთის ტრადიციულმა, მიმტაცებლობითმა მადამ დასძლია და აღარ მოუცადა საფრანგეთის, ან სხვაგადოთ, ევროიელ კონსერვატორული წრეების განწყობილების

ნიუ იორკი, მარტი, 1969 წ.

როგორც ვიცით, 1968 წ. აგვისტოს 22-ს, ექვსასი ათასიანმა რუსულმა სამხედრო ძალამ გადალახა ჩეხოსლოვაკიის საზღვარი და ექვსი საათის განმავლობაში დაიკავა მთელი ქვეყანა.

ორმოცდაათი წლის განმავლობაში რუსეთმა ასეთი „ეაიტალისტური“ ძალადობა მხოლოდ ოთხჯერ გამოიყენა: 1921 წ. საქართველოს მიმართ, 1938 წ. — ფინეთი, 1939 წ. პოლონეთი და დღეს ჩეხოსლოვაკია.

დასავლეთელი მიამიტი ადამიანისათვის უკვე „გალიბერალებულმა“ საბჭოთა რუსეთმა თუ გაბედა ნიღაბი ჩამოეხსნა და თავისი იმპერიალისტური ზრახვები ქვეყნიერებისათვის კვლავ ეჩვენებინა, უსათუოდ მას საამისო სერიოზული მოსაზრებები ჰქონდა.

ამის ასახსნელად საჭიროდ მიგვანნია მოვიშველიოთ საბჭოთა კავშირის შინაგანი ვითარება.

სტალინის შემდეგ რუსულმა კომუნისტურმა პარტიამ წონასწორობა დაკარგა და მან მყარი პოზიცია ვეღარ დაიჭირა. ხრუშჩოვის პერიოდში თითქოს პიროვნების თავისუფლება აღიარეს; ეკონომიური ჩამორჩენილ საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღდგენა სცადეს, ლიბერმანის ეკონომიური ქადაგება მიიღეს და ქარხნების და კოლეტივების რეორგანიზაცია დაიწყო. ამ შემთხვევით წაქეზებულმა ახალთაობამ „თავი აიშვა“ და პიროვნული თავისუფლების იდეა გაალმერთა. მონობის არტახებში გაკრულმა ხალხმა, როგორც კი ცოტა შვება იგრძნო, ყოველგვარი კონტროლი დაკარგა და ძნელი აღმოჩნდა იმ საზღვარის პოვნა, თუ ყალბად გაგებული „თავისუფლების“ ლაგამახსნილობა მთავრობას რომელ წერტილზე შეეძლო შეეჩერებინა. ამ გვარად აფორიაქებული ხალხის მიზანი იყო, არა საზოგადოებრივი, არამედ პირად- ეგოისტური: თუ რა გამორჩენა ეჭნებოდა არა ერს, ხალხს, არამედ მათ, იმ მომქმედ პირებს, ან პარტიის მიერ რჩიულთა კადრს.

ამის მნახველი კრემლი მძიმე ამოცანის წინაშე აღმოჩნდა რომელი გზა აერჩია: მიეშვა ხალხის ნება-სურვილი თავისუფლებისაკენ და პირად-ეგოისტური მიდრეკილება საზოგადოებრივად ექცია, თუ კვლავ მოეჭირა სალტეები და სტალინის მეთოდებს დაბრუნებოდა.

ეკონომიურად გაღატაკებული და ლუკმა პურისათვის ბრძოლით მოქანცული საბჭოთა მოქალაქე და კრემლის უადტორიტეტო ლიდერები, ცხადია, ვერ გაბედავდნენ სტალინის მეთოდების გამეორებას. წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ 1967 წელს შესაძლებელი ყოფილიყო იმ სიმკაცრის „ცდები“, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1937-38 წწ. დანლოვის და სხვების წერილები და მათი გასამართლება ისევე შეეჯახა კომუნისტიკურ პარტიას, როგორც ოცდაათი წლის წინ ტუხაჩევსკი და მისი მეგობრები.

თავისუფლების მოტრფიალე მწერლების დასჯა კრემლისათვის ყველაზე სუსტი პოზიცია აღმოჩნდა. ამან იმდენად დაასუსტა რუსული კომუნიზმის ლიდერების პოზიცია და დასჯილი მწერლების ავტორიტეტი იმდენად აამაღლა, რომ თვით თავისუფლების იდეის კულტი წარმოიშვა, რომელმაც წუხალისებული ახალთაობა უფრო გაამხნევა და მას გაბედვინა ჩეხოსლოვაკიის მოვლენა დაეგმო და გაეკიცხა. აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციას მეთაურობა აიღო ტანლინის საგარეო საქმეთა მინისტრის — ლიტვინოვის შვილიშვილმა. ეს, ჩვენს აზრით, დიდ მნიშვნელოვანი აქტია, რადგან ახალგაზრდა ლიტვინოვის ინიციატივა უარყოფაა არა მარტო რეჟიმის, არამედ საკუთარი ოჯახური ტრადიციის და მემკვიდრეობისაც.

თუ სტალინმა ტუხაჩევსკი და მისი მეგობრები, ან კომუნისტური პარტიის ძველი კადრი ერთი ხელის მოსმით განადგურა და ვერც ვერავინ გაბედა ხმის ამოღება, დანილოვლიტვინოვის ხუთი წლით დასჯამ საბჭოთა საზოგადოებრივობის მაღალ წრეებში მტკიცე პროტესტი წარმოშვა. ეს არის კრემლის ახალი ბატონების უსუსტესი ხაზი, რომლის გაყოლებაზე ის თანდათან უფრო სუსტდება და ირღვევა.

საბჭოთა კავშირის ამ ვითარებაში ჩეხოსლოვაკიის „რეფორმისტების“ ახალი არაფერი „მოუგონიათ“, რომლის გამოც შეიძლებოდა რუსების ამოდენა გულისწყრომა დაემსახურებინა. მათ მხოლოდ აშკარად და ნათლად გადმოიღეს და თავის ხალხს არა „ქეც და ქეც არა“, არამედ ნამდვილი თავისუფლება, ეკონომიური გაჯანსაღების და ცხოვრების გაუჯობესების გზა გაუხსნა. სახლში შეშინებულმა რუსული კომუნიზმის ლიდერებმა საჭიროდ დაინახეს ამის დაუყონებლივ აღკვეთა, რათა ჩეხოსლოვაკიის მაგალითს უფრო არ გაეთამამებინა ისევაც „თავაშვებული“ ახალთაობა და თუ რუსეთში ვერ გაბედეს სტალინის მეთოდებზე გადასვლა, საგარეო პოლიტიკაში მას აღარ მოერიდნენ და ჩეხოსლოვაკია დაიპყრეს. რუსული საოკუპაციო ჯარი დაუყონებლივ შეუდგა თავისუფლების მოყვარულ ჩეხოსლოვაკელების დაპატიმრობა-გადასახლეას, რომელსაც საზღვარი დაუდო ლენინის ორდერის მატარებელ გენ. სვობოდას გაბედულმა და რადიკალურმა გარდაწყვეტილებამ, რომ თუ რუსეთი დაუყონებლივ არ შეაჩერებდა რეპრესიებს, ის საჯაროდ, კრემლის მოედახზე თავს მოიკლავდა. ამავე დროს მან კატეგორიულად მოითხოვა დატყვევებული დუბჩეკის განთავისუფლება. კრემლი იძულებული იყო მისთვის დაეთმო და დაყარობილი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი თავის უახლოეს თანამშრომელთან ერთად გამარჯვებული დაუბრუნდა სამშობლოს.

ჩეხოსლოვაკიის მოვლენა ძალიან წაადგა 1921 წ. საქართველოს დაყარობას. როგორც იმ დროს თბილისთან, ისე ამჟამად პრაგასთან მოსკოვს ჰქონდა მეგობრული კავშირი და თავდაუსხმელობის პაკტი. როგორც თბილისი, ისე პრაგა მისსწრაფოდა დასავლეთ ევროპისაკენ და მასთან მჭიდრო ეკონომიურ-კულტურულ თანამშრომლობისაკენ. ორივე ქვეყნის დაყარობის შემდეგ რუსეთმა განაცხადა, რომ მათ „კეთილშობილება“ გამოიჩინეს და აღგილობრივ კომუნისტების დახმარების თხოვნას მეგობრულად გამოეხმაურნენ, ხოლო როცა ჯარი მიდგა „მომწვევის“ დასახლებაზე, ის მათ ვეღარ დასახლეულ. როგორც საქართველო, ისე ჩეხოსლოვაკია მოკლებული იყო ყოველგვარ დახმარებას და მრავალრიცხოვან რუსეთს დაზღვეული ჰქონდა სამხედრო გამარჯვება.

ეს სურათი იცვლება, როდესაც დადაგხედავთ საქართველოს და ჩეხოსლოვაკიის რეაქციას.

პრაგამ ნერუს მეთოდი გამოიყენა და მთელი იმედი დაამყარა, რომ პასიური წინააღმდეგობით, ლეგალური უფლებები კვლავ დაუბრუნებდა თავისუფლებას, რომლის სრული უარყოფა თვით მოსკოვმაც ვერ გაბედა და მიკიბულ-მოკიბული განმარტებების გზა აარჩია. რა არ მოეწონა საბჭოთა ლიდერობას და რაში დაინახა დუჩჩეკის „კომუნიზმიდან გადასვეეა“, რომ ამ რადიკალურ ზომას მიმართა. თუ ჩეხოსლოოუაკიამ თავისი საზღვარი გახსნა და თავის მოქალაქეს მოგზაურობის უფლება მისცა, თვით რუსეთმა ხომ უფრო ადრე მიიღო ეს პრინციპი? რატომ არის დასაძრახისი ჩეხი ჟურნალისტებისთვის აზრის გამოთქმის თავისუფლება, თუ კი მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზე პოპულარულია მომღერალი ოკუჯავა? ან რატომ არის მიუღებელი ჩაოსლოვაკიის დასავლეთთან დაკავშირება, განა თვით რუსეთი ამას გაურბის?

როგორც სჩანს, რუსეთის მიერ მოყვანილი ბრალდებები სრულიად უსაფუძვლო და უაზროა. ჩვენი რწმენით, ამ გაბედულ ნაბიჯს ორი ახსნა აქვს: შიგნით თავისი მოქალაქის დაშინება, რომ კვლავ შემწევეს ძალი ქადილისათ და გარეთ ერთი ახალი პატარა ერის დამონება, რომელიც მაშინ იყიოვლებს, როცა მოსკოვი იფიქრებს რომ თენდება.

1921 წ. კი საქართველომ რადიკალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა, რაც მისი ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარეობს. მართალია საქართველო მოუმზადებელი შეხვდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმას, მაგრამ ნერუს ტაქტიკის მაგიერ, ქართველებმა „კბილი კბილის წინი“-ის პოზიცია დაიჭირეს და რუსულ მრავალრიცხოვან ჯარს, ყოველნაირი შესაძლებლობით ეკვეთნენ და თავდაუზოგველი ბრძოლა გაუმართეს. ხოლო როცა საქართველომ ომი წაადო დამარცხებული მთავარობა ბრძოლის გასაგრძელებლად და ქართული საკითხის საპრობაგანდოთ უცხოეთში გაიხიზნა. ამ გარემოებამ საქართველოს შესაძლებლობა მისცა ორ ფრონტზე ებრძოლა: შიგნით კულტურულ ძალებს ეროვნული ფეხვები გაემაგრებინა, გარეთ კი ქართულ ემიგრაციას ჩვენი საკითხისათვის ლეგალურად ებრძოლა.

ჩეხოსლოვაკიის საკითხმა მართალია გააფართოოა ჩვენი მოქმედების ასპარეზი, მაგრამ დუჩჩეკ-კოსიგინის ბრძოლა მათ შინა, პარტიული ფარგალს ვერ გაშორდა, მაშინ, როდესაც საქართველოს დამარცხებულმა მთავრობამ და ქართულმა ემიგრაციამ ეროვნული პოზიცია გააძლიერა.

ამ ორივე ფაქტმა კი ცხად ჰყო, რომ ისეთი მცირერიცხოვანი ერი, როგორიც ჩეხოსლოვაკია, ან საქართველო, იძულებულია, გარეშე დახმარებას მოკლებული შეებრძოლოს მრავალრიცხოვან თავდასხმელს, მისთვის წინდაწინ ნათელი უნდა იყოს, თუ რომლი მეთოდია მისაღები: პრაგაში დარჩნა, მტერთან მორიგებას და შერიგების გზის გამოძებნა, და მაშასადამე, საკითხის კომუნისტებ შორის შინა პარტიულად გადაქცევა, თუ უცხოეთში გახიზნა და ეროვნულ განმათავისუფლებელი დროშის ტარება?

ამ საკითხს პასუხს გასცემს განთავისუფლებული ქართველი ხალხი და თავისუფალი ჩეხოსლოოვაკია.

ვ. ზალდასტანიშვილი

ლოდიკურ განვითარებას და ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინა. ამ აქტმა ევროპას თვალი აუხილა და მან მწარე სინამდვილეს გაბედულად შეეხედა. პრაგა ახალ მიუხეხნად იქცა და ევროპის თავდაცვის ორგანიზაციამ სასწრაფო ზომები მიიღო თავისი გაბაზარული სხეულის გასაჯანსაღებლად და გასაძლიერებლად.

ევროპა-ამერიკის „თავაზიან“ პროტესტებს მოსკოვმა იმდენი ყალბი განმარტებები მისცა, რომ თვით ფრთხილი, დაკვირვებული და საბჭოთის ვერაგობაში კარგად ჩახედული ადამიანიც კი ვეღარ ერკვევა სინამდვილეში. მოსკოვი უმთავრესად აწყვებოდა იმ არგუმენტს, თითქოს, ოკუპაცია გამოწვეულია „ჩეხოსლოვაკიის ხალხს თვით გამორკვევის უფლების დასაცავად“, მაგრამ კრემლის შინა პოლიტიკა სრულებით არ ამართლებს ამ განმარტებას და თვით საბჭოთა კავშირში სასტიკად იდევნება „თვითგამორკვევის ყოველგვარი გამოვლინება.

ჩეხოსლოვაკიის დაპყრობამ თავზარი დასცა შიგნით საბჭოთა მოქალაქესაც და კოსიგინ-ბრეჟნოვის პოლიტიკაში სისხლის მსმელი სტალინის მრისხანე სახე დაინახეს.

მხოლოდ ხუთიოდე კაცმა გაბედა საჯარო პროტესტი, რომელსაც სტალინის საგარეო საქმეთა მინისტრის შვილიშვილი, პავლე ლიტვინოვი და თავისუფალი აზროვნებისათვის დასჯილი მწერლის ცოლი, — ლარისა დანიელი ხელმძღვანელობდა. ცხადია, საბჭოთა პოლიციამ მათაც აუკარა პირი და „გალიბერალებული“ კომუნიზმის ლიდერებმა ისენი „დამსახურებისამებრ“ დასაჯეს.

მეორე „ძლიერი“ არგუმენტი, რომლითაც რუსეთი ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის გამართლებას ცდილობს, „კაპიტალისტური ქვეყნების გარეშოცვა და მათი შეიარაღებული თავდასხმაა“.

ქვეყნიერებამ კარგად უწყის, რომ სწორედ იმ პერიოდში, კაპიტალისტური ქვეყნები, თავისი უნიჭო და უვიცი კრემლინოლოგების წყალობით, საბჭოთა კავშირთან არშიყობით იყვნენ გართულნი და მასზე თავდასხმაზე არავინ ფიქრობდა.

რუსეთის შინაგანი ვითარების სწორი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ რუსეთს ეშინიან არა კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღებული თავდასხმის, არამედ თავისუფლების იდეის, რომელიც მთელ ქვეყანაზე გამაჯვებული დანავარდობს და რომელიც უკვე შეიჭრა საბჭოთა სატელიტებში და თვით საბჭოთა კავშირიც.

მოსკოვის მრისხანებამ, თავისუფალ დემოკრატიულ სამყაროს მასთან არშიყობამ და ამერიკელ კრემლინოლოგების უვიცობამ, შეიძლება გაახანგრძლივოს კრემლის მიერ დაბეჭავებული საბჭოთა მოქალაქის უმწეო მდგომარეობა, მაგრამ ეს ვერ ჩაჰკლავს თავისუფლების იდეას და ის აღრე თუ გვიან გამარჯვებული გაინავარდებს საბჭოთა რუსეთში და მის მიერ დაპყრობილ ერთა მიწა-წყალზე.

ვ. სანგულია.

„ეშვიათია, რომ რომელსამე რუსს ასჩენოდეს სურვილი და ხალისი იკოდინოს რამ ჩვენი, ჩაიხედოს ჩვენს გულში, გაიგოს ჩვენი გულის ნადები და ჩვენის ჭეშმარიტის და არა მოგონილის ზრახვისა და სასოების კვალობაზე მოგვეწყას, რაც ვვეკუთვნის ყოველს საქმესა და დაწყობილებაში, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში“

ილია

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს,
ვინც შენატოს იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს“.

აკაკი

„ჩვენ ისე შევეჩვეთ,
ჩვენ საკუთარ ფერსა და ხმას,
რომ ვერასდროს ვერ გაუძლებთ,
გამარჯვებულ რუსის ჩექმას“.

ი. გრიშაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯორჯაძე

(გარდაცვალებიდან 55 წლისთავის გამო)

დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ნიჭიერი პუბლიცისტი, ცნობილი მწერალი, ქართულ ეროვნულ სოციალისტურ მოძრაობის და საქართველოს სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პაარტიის ფუძემდებელის არჩილ ჯორჯაძეს გარდაცვალებიდან დღეს შესრულდა 55 წელიწადი.

არჩილ ჯორჯაძე დაიბადა 1872 წელს კახეთში. 1892 წელს არჩილ ჯორჯაძეს დამამთავრა ტფილისის ვაჟთა გიმნაზია. გიმნაზიაშივე იქცევდა ყურადღებას ნიჭიერი, სევდიანი და მეტად დაფიქრებული ახალგაზრდა.

გასცვენებული ზურაბ აკაღიშვილი იგონებს (იხ. „შენიშვნები არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიისთვის", ჟურ. „სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, 1952 წ. გვ. 15). მის ახალგაზრდობის წლებს და აღნიშნავს: „თავიდანვე მახსოვს არჩილ ჯორჯაძე, როგორც დინჯი და თითქმის ულვე მომწიფებული ახალგაზრდა, მაშინდელი თქმით, ადრე „განვითარებული". იქნებოდა ასე 16 წლისა . . . ტფილისის პირველი გიმნაზიის უფროს კლასებში. მე ტად იზიდავდა კაკს მისი სიდარბაისლე და ლამაზი სახის ცოცხალი გამომეტყველება. უნებლიეთ აქცევდით ყურადღებას მის მშვენიერს, თითქოს მარმარილოთან გამოკვნდაკეებულ შუბლს".

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ არჩილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მასთან ერთად იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, შემდეგში რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული ვექილი და ბოლოს ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორი. ქართველი ახალგაზრდების აღმზრდელი, მისი მეგობარი და დამხმარე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში, სწავლასთან ერთად, არჩილი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა გამოსვლებში.

ერთხანს იგი ვარშავის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს.

არჩილი ვარშავაში აკვირდებოდა პოლონელი ერის დაჩაგრულ მდგომარეობას, კარგად ესმოდა მისი ვარამი და ამ ვარამში ქართული სულის კვნესაც ისმოდა.

ვარშავაში იგი აარსებს საზოგადოებას „საქართველოს თავისუფლების ლიგა"-ს სახელწოდებით.

იურისპრუდენცია არ იტაცებდა არჩილს. მას სრულიად სხვა მიზანი ჰქონდა დასახული. ის სულ სხვა გზას ეძებდა.

1897 წელს არჩილი მიემგზავრება ლონდონს. ის იქ დაუახლოვდა ტოლსტოის მოძღვრების მიმდევრებს და მათ მიერ დაარსებულ ახალშენში დაიდო ბინა. მაშინ არჩილი 25 წ. ახალგაზრდა იყო. 1900 წელს კი არჩილი პარიზში. პარიზში ის ცხოვრობდა ე. წ. ლათინურ უბანში, პანთეონის მოედანზე. აქვე ცხოვრობდა მისი დიდი მგეობარი გიორგი დეკანოზიშვილი. იქ არჩილი გაეცნო ფრანგ ანარქო-სინდიკალისტურ მოძღვრებას და ერთხანს მისი იდეურ გავლენაში იყო. ფრანგეული სინდიკალიზმი, მაშინ გაავრთებით ებრძოდა მარქსისტულ მიმდინარეობას.

არჩილ ჯორჯაძემ შემდეგ ეს მიმართულება დასტოვა. ყოველშემთხვევაში, სულ სხვა გზით წარიმართა ქართული ანარქიზმის საკაელი გზა. იგი რადიკალურად განსხვავდებოდა რუსული ანარქიზმისაგან, რომლის ერთერთ თეორეტიკოს, ბეკუნინს, „ბუნტი" მიაჩნდა ბედნიერებად ხალხისათვის და სამშობლოდ ბომბების გრიალი ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო ქართული ანარქიზმის თეორეტიკოსი ვარლამ ჩერქეზიშვილი, გიორგი გვაზავასთან ერთად, 1783 წლის ტრაქტატის გაწაღდებას მოითხოვდა და ჰაგის საერთაშორისო კონფერენციის 1907 წელს მემორანდუმით მიმართა და ანარქისტმა საქართველოს სამეფოს აღდგენა მოითხოვა. მაშინ ეს მეხივით გავარდა და მარქსისტებმა ჭიდილში გამოიწვიეს.

აი რას ამბობს ამის შესახებ, საქართველოს სოც. ფედერალისტთა პარტიის ერთერთი ფუძემდებელი, შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის პირველი სახალხო განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი: „ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, მონაწილეობას იღებდა ჩვენს პრესაში, თავგამოდებული დამცველი და მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს იცავდა ქართველი ერის ისტორიული უფლებების საფუძველზე" (იხ. გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, 1934 წ. გვ. 243). ასეთივე იყო ახალგაზრდა „ბატონი", ქართული ანარქიზმის ერთერთი მამდევარი მიხეილ წერეთელიც, რომელიც ქართველ სოც-ფედერალისტთა პარტიაში თანამშრომლობდა. მიხეილ წერეთელმა ანარქიზმი ეროვნულ პრინციპში გაითვალისწინა და თავის უკვდავი „ერი და კაცობრიობა"-ში ერის მარადიულობა დასახა და ამ გზიდან მოაზროვნეს და მკვლევარს არ გადაუხვევია.

„მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა" უდიდესი ყუმბარა იყო, რომელიც მან ეროვნულ იდეის უარმყოფელთ ესროლა. დიდი ილიას მიმდეველმა ერთერთი რეალობა ერი აღიარა და ეროვნული პრობლემა მეჩემტეველურად დაასაბუთა". („ბედი ქართლისა" № 3).

როგორც ვთქვეთ, არჩილი ეძებდა რაღაცას, ამ ძებნამ მას მიატანვებინა პეტერბურგი, ლონდონს სკადა ბედი და ბოლოს პარიზში დამკვიდრდა. ბევრი ძიებისა და ფიქრის შემდეგ, არჩილმა ყოველგვარ უცხოურ „იზმს" თავი ანება და მონახა ის მკვიდრი ეროვნული ნიადაგი, რომელზედაც შემდეგ გაშალა თავისი ნიჭი. ეს ნიადაგი საქართველოა. მისი მდიდარი და ამავე დროს ტრაგიკული წარსული, მისი აწშვენ და მომავალი. ეს იდეალია საქართველოსთვის სამსახური, ბრძოლა მისი უფლებებისთვის და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობისათვის.

„იზმის" უარყოფა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ არჩილი წინააღმდეგი იყო ევროპეიზმისა. ევროპეიზმი, არჩილმა ქართველი ერისათვის მისაღები „იზმი" გადმოიტანა საქართველოში და ის ქართულ ეროვნულ სამსახურში ჩააყენა. საქართველოსა და ქართველი ერის არა მსხვერპლად მტანა, არამედ უცხოური მოძღვრების გაქართულება, გაერთვნება.

1901 წელს არჩილი საქართველოშია. მან გაიაა კავშირი ალექსანდრე ჯაბადართან და გიორგი ლასხიშვილთან და გაზეთი „ცნობის ფურცელი"-ს ერთერთი წამყვანი თანამშრომელია. აი რას ამბობს არჩილთან შეხვედრაზე გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში: „1901 წლის გაზაფხულში რედაქციაში ვისხედით მე და ბილანშვილი, როცა კარი უეცრად გაიღო და ოთახში შემოვიდა შესახედავად მეტად სიმპატიური ახალგაზრდა, რომელმაც მე მიკითხა. მივეგებე, გამეცნო: არჩილ ჯორჯაძე ვარო. . .... არჩილმა გამოთქვა სურვილი ჩვენ გაზეთში მუშაობისა. დიდხანს ვისაუბრეთ საამდროვო საკითხებზე და ბოლოს გადაეწყვიტეთ, რომ კახეთიდან დაბრუნების შემდეგ არჩილი დაიწყებდა გაზეთში მუშაობას, როგორც შემდგი თანამშრომელი . . .

მუშაობა ამნაირად გვქონდა განაწილებული: არჩილ ჯორჯაძე (საზღვარგარეთ გამგზავრებამდე), გიგო რეხილაძე და მე ვწერდით მეთაურებს, აგრეთვე ვაწარმოებდით განყოფილებებს „პოესა" და „რუსეთის ქრონიკა". ამგვარად 1901 წელს „ცნობის ფურცელი"-ს რედაქციაში და რედაქციის ირგვლივ თავი მოიყარა ინ ახალგაზრდობამ, რომელმაც შემდეგ ხანში დააარსა ახალი პარტია . . . ახალ პარტიაზე ლაპარაკი გაცხოველდა, როცა ჩვენ წრეში არჩილ ჯორჯაძე შემოვიდა. არჩილი მხურვალე მომხრე გახდა იმ ახალგაზრდათა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი და დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა . . .

ჩვენ სინამდვილეში მაშინ განსაკუთრებით ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა — ეროვნული იდეის მატარებელი და ახალი მესამე დასელები — მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებელნი. პირველი მიმდინარეობა არ წარმოადგენდა პარტიას და არაავითარ ორგანიზაციულ მუშაობას ამ მხრივ არ აწარმოებდა. ეს იყო მხოლოდ ლიტერატურული და საზოგადოებრიული მიმართულება. დასელებმა კი უკვე ჩამოაყალიბეს პარტია . . . „ცნობის ფურცელი"-ს ირგვლივ შედგმი ელემენტები იმთავითვე გაიმიჯნენ ორივე აღნიშნულ ბანაკისაგან და შექმნეს სრულიად ახალი მიმდინარეობა . . . ამ გაზეთის ირგვლივ თავი მოიყარა იმ ახალგაზრდობამ, რომელმაც შემდეგ ხანში დააარსა ახალი პარტია. სხვათა შორის ჩვენს შორის ის აზრი ტრიალებდა, რომ უმჯობესია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერ პარტიასთან შეგვექმნა ქართული ავტონომიური ჯგუფი. მაგრამ ახალგაზრდები კიტა აბაშიძე, ელ. ლორთქიფანიძე სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ რუსული პარტიის დრონშის ქვეშ დადგომისა . . . არჩილი მხურვალე მომხრე გახდა იმ ახალგაზრდათა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა" (იხ. გ. ლასხიშვილი „მემუარები" გვ. 138).

ახალი დამოუკიდებელი ქართული პარტიის დაარსების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში ქართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

„თვით ცხოვრებამ დააყენა ეს კითხვა ხალხსა და ეროვნებისა, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირებისა . . . ეიყავით და ვიქნებით იმის მტერი, ვისაც ეროვნული ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არა ნაკლები მტერი ეართ იმათი, ვისაც კერძო და წოდებრივი ინტერესების გამოსარჩლება ე. ი. ი. ცალკე კლასისა) ერის გამოსარჩლებად მიაჩნია!. (იხ. „კავკასიონი" 10, პარიზი. გვ. 8). სწერდა არჩილ ჯორჯაძე.

„ცნობის ფურცელს" პირველხანებში სცემდა, ჩვენი ცხობილი საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია, მაგრამ ის შემდეგ გადადის არჩილ ჯორჯაძის ხელში. მოვიყვანოთ ამის შესახებ საქართველოს სოც. ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის, ცნობილი ლიტერატორის და მწერლის აკაკი პაპავას წერილიდან ზოგიერთი ამონაწერი: „როგორც ვიცით, ამ ხახებში ვაღ. გუნიას „ცნობის ფურცელი" გადადის ახალ ჯგუფში, რასაც სათავეში გ. ლასხიშვილი ჩაუდგა და მალე მას არჩილ ჯორჯაძე, ვალ. ლორთქიფანიძე, გრ. რეხილაძე და სხვები მიემატნენ. ან აქედან იწყება ჩვენში ხალხისერი, სოციალური და ნაციონალური მოძრაობა. მალე ეს ჯგუფი გაიზარდა და ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი მას მიემხრო. . .

არჩილ ჯორჯაძე მაშინდელი გაზეთის მეთაურში აღნიშნავდა ამ ჯგუფის ახლო ნათესაობას ილიასთან და ახალი მოძრაობა მის გაგრძელებად და გაღრმავებად მიაჩნდა. — ჩვენ გვწამს, სწერდა ის, „რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ ჩვენი განვითარება დაიმორჩილა ევროპის კულტურის ეკოლოგიის კანონს და იმავე გზით უნდა წავიდეს წინ. აქედან ორკვეთა ჩვენი პროგრამის ერთი მხარე: ხელი შეუშველეთ ეურპაულ მოწინავე იდეასა და საუკეთესო მისწრაფებათა გაცნობას, შეთვისებას და გავრცელებას (ნაგულისმევია ნოციალური იდეები), მაგრამ თუ ეს იდეა არ ეწინააღმდეგება ეთნოგრაფიულ არსებობას. ჩვენი ენა, ლიტერატურა, ეროვნული თვისებანი და არსება რჩებიან და ვითარდებიან . . . ამ მხარეს ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძებისა და ზრდის საქმეს — შესანიშნავი სამსახური გაუწიეს ჩვენმა მოღვაწეებმა (ილიას თაობამ), ჩვენ გვწამს სიდიდე მათის იდეალისა და ამიტომაც მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის . . .

სოციალური პროგრამის შესახებ კი ოგივე არჩილ ჯორჯაძე განსხვავებულ აზრებს გამოსთქვამს, ვიდრე ეს ქართველობას მესამე დასისაგან სმენოდა. მართალია ის კლასობრივ დიფერენციაციას ხედავს, მათ შორის ბრძოლასაც კარგად ამჩნევს, მაგრამ მისი აზრით: დამონებულს, პოლიტიკურად და ეროვნულად დევნილ ხალხს არ შეუძლიან იგივე გაფართვეული ბრძოლა იქადაგოს ეროვნულ სოციალურ კლასთა შორის. გამთიშველი სოციალური ბაზის გარეშე ამ კლასებს მოეპოვებათ ნაციონალური, შემკრებლობითი, საერთო ნიადაგი — ერის უფლებათა დასაცავად. ეს ნაციონალური დევნა ყველა წოდებას აწევს და სტანჯავს იმიტომ, რომ ის ქართველია.

„ჩვენის აზრით, — სწერდა არჩილ ჯორჯაძე, — კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარმატება, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში, კლასთა ბრძოლის ნიადაგზე კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენი ხალხის ნაციონალურად აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ე. ი. ვაჭარი და მრეწველი ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირდაპიროდ. არამედ ის უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს ატმ-მიცემთის მონოპოლია. ქართველი მუშაც ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული . . . („ცნობის ფურც." 1901 წ.).

„ეს ჯგუფი, — განაგრძობს თავის წერილს აკაკი პაპავა, — კლასთა წინააღმდეგობას ხედავდა, მაგრამ პირველ რიგში ერთა ბრძოლას (რუსიფიკაციას, ტერიტორიის გამოცდას, ქართველთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დევნას საკუთარ მიწა-წყალზე) ამჩნევდა და უნდოდა ამ ბრძოლისათვის კლასთა ინტერესებიც მსხვრალად მიეტანა. სოციალური მოწინააღმდეგენი ეროვნული დროშის ქვეშ ერთად დაეყენებინა. მაგრამ საამოსოდ საჭიროა ეხლავ მშრომელთა გაღონიერება და მისი კულტურულ-ეროვნული ამაღლება" (აკაკი პაპავა: საქართველო და მისი პირველი ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობა. „სახალხო საქმე". ბუენოს-აირესი 1952 წ.).

აშკვარად არჩილ ჯორჯაძეს მოძღვრებას შეადგენდა არა კლასთა ბრძოლა და მათ შორის ურთიერთობის გამწვავება, არამედ სოლიდარობა. მაშასადამე, საქართველოში არსდება სრულიად ახალი მიმართულება, რომლის დროშაზეა დაწერილი ეროვნული და სოციალური საკითხები.

აი რას სწერს ქართველი ისტორიკოსი ქრისტეფორე რაჭველიშვილი ამის შესახებ: ქართველი სოციალდემოკრატები კარგახნის გამხვლობაში მტრულად ექეცოდნენ ეროვნულ პოლიტიკურ ლოზუნგებს, საერთო სარუსეთო გამბათვისუფლებელი მოძრაობით გატაცებულნი, ისინი მეორე ხარისხოვან საქმედ სთვლიდნენ და ცხარედ ებრძოდნენ, მაგალითად საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას, ამიტომ არა მარქსისტული ინტელიგენცია ცალკე დაარაზმა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დაარსა." (იხ. ქრ. რაჭველიშვილი. საქართველოს მოკლე ისტორია. ტფილისი 1925, გვ. 221).

როგორც ცხობილია, გაზეთი „ცნობის ფურცელი"-ს რედაქციაში და მის წრეში დაისვა საკითხი არალეგალური გამოცემის შესახებ, სადაც უფრო თავისუფლად გაშუქდებოდა საკითხი საქართველოს ავტონომიის, კავკასიის ერთა ფედერაციის და სხვ.

აჭიროა ერთერთ კრებაზე დასვა საკითხი არალეგალური ორგანოს გამოცემა და მან საჭიროდ მიიჩნია ეს ორგანო სახლეკარგად გამოეცადა. არჩილის აზრი ამ თათბირზე მოიწონეს. გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ „არჩილ ჯორჯაძე დაგბაცებიი იცავდა იმ აზრს, რომ მიზანშეწონილი იქნება ამგვარი ორგანოს დაარსება მხოლოდ სახლეკარგად . . . ბოლოს გადაეწყვიტეთ თანეისუფალ ორგანოს შექმნა სახლეკარგად და ეს საქმე უახლოეს ამაცანად აღვიარეთ. უკვე 1901 წლის შემოდგომაზე ჩვენი წრე შეუდგა საქმისათვის საჭირო თანხის შეგროვებას. აეიარნეთ სამი კაცი: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ეკატინი მიმინანშვილი, რომელთაც დაეკალათ ფულის შეკრების ორგანიზაცია და გაძღოლა".

არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშლთან და ასოთამწყობ მიხეილ კიკნაძესთან ერთად გაემგზავრა პარიზს. პირველ გაზეთს, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამოვიდა ეწოდა „საქართველო". დაიწყო გამოსვლა აგრეთვე ფრანგულ ენაზე „Georgie"-ის სახელწოდებით. გაზეთის ფრანგულად გამოცემის მიზანი იყო ფრანგი მოწინავე საზოგადოებისათვის გაეცნოთ საქართველოს მდგომარეობა.

პარიზში „საქართველოს" გამოცემას ეხება სოციალ-დემოკრატების ბელადი ნოე ჟორდანიაც თავის მოგონებებში და სწერს: „ამ დროს საქართველოში მოხდა შემდეგი ამბავი: მიუხედავად 1901 წლის დიდი რეპრესიებისა, დაწყებული მოძრაობა არა თუ არ შეწყვეტა, კიდევ უფრო გაიზარდა. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა განზე გადგარ და მტრულად განწყობილ ინტელიგენციაზე და შეიტანა მასში რყევა. ერთი ნაწილი გამოეყო და ახალგაზრდებთან ერთად **დადგნენ ახალ გზაზე.** მათ იცნეს მოძრაობა, მაგრამ მოინდომეს თავის რელსებზე შეყენება. ამ ჯგუფს მეთაურობდა არ. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ.

მათ 1904 წელს დაიწყეს გამოცემა ქართულად და ფრანგულად ჟურნალის „საქართველოს" პარიზში. ამ მათ ინიციატივას შევხვდი დადებითად და კიდევაც მოვთავსეს იქ რამდენიმე წერილი მოძრაობაზე ჩვენში. მაგრამ ჩქარა გამოჩნდა მათი განსხვავებული ტენდენციები, რის გამო არ. ჯორჯაძეს გამოვეცხადე პირადათ, რომ ჟურნალში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. იმავე წელს მათ მოაწყვეს ჟენევაში კონფერენცია, სადაც ჯგუფი ქართველ სოციალ-დემოკრატებისა იყო მიწვეული სტუმრად. მოწვევა მივიღეთ, მაგრამ იქვე წავიკითხე ჩვენი განცხადება, რითაც ვაცნობებდით კრებას ჩვენ უარყოფით დამოკიდებულებას კონფერენციისადმი. კრება დავტოვეთ. შემდეგ დაიწყო პოლემიკა. რაში იყო ძირითადი განსხვავება?

კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულათ სოც.-ფედერალისტური პარტია, რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რეგიოლუციური და პროგრესიული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო „საერთო ნიადაგი" ყველა კლასის და წოდების შორის და სხვ. ან ეს „საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის ყოველად მიუღებელი . . . სოც. ფედ. წინააღმდეგ დავბეეეედე ენენევაში ბრიშერა „ქართველი ნაციონალისტები" და გადავეგზავნე საქართველოში. შემდეგ პოლემიკა გაგრძელდა საქართველოში". (ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, პარიზი, 1958, გვ. 61-63).

მაშასადამე, ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიდანვე წინააღმდეგი იყვნენ ტერიტორიალურ ავტონომიის საქართველოში. ამ მხრივ მოვიყვანთან ისევ ნოე ჟორდანიას სიტყვები: „. . . 1909 წლიდან იტალიიდან დაბრუნდი ოჯახობით საქართველოში. განვგრძობი პარტიულ პრესაში მუშაობას და ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებას. ამ ხანებში ჩემს უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა ნაციონალური საკითხი და მისი გადაჭრის შესაძლებლობა. გამოვდიოდი ისე, როგორც ყველა პარტია, რუსეთის იმპერიის მოღიანობისაგან და ვიცავდი ჩემს პროგრამებს ამ საკითხის მოგვარებისა იმპერიის ფარგლებში. კულტურული ავტონომია მიმაჩნდა უდაოთ ყველა ერისათვის, ხოლო ტერიტორიალური ავტონომია სადაოდ . . ." (იქვე).

ამ ეროვნულმა საკითხმა გამოიწვია ეროვნული ოპოზიცია თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც, როცა ლადო დარჩიაშვი-

ლმა დააარსა გაზეთი „ალიონი“ და თავის გაზეთში თავგამოდებით იცავდა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის იდეას.

დაუბრუნდეთ ისევ კლასების საკითხს:

„კლასების არსებობას მე-60 წლების მოღვაწეებიც ცნობდნენ. შემდეგ არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებული მმართველებაც ცნობდა მას, მაგრამ, როგორც თავიდან აღვნიშნეთ იგი გამოდიოდა კლასთა თანამშრომლობის პრინციპიდან.

აი რას ეკითხულობთ მაშინდელ საქართველოს ვითარებაზე „საქართველოს ისტორიაში“, რომელიც გამოცემულია ტფილისში 1958 წელს: „ამის მიზაზი იყო საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურება, კერძოდ, მისი კოლონიური მდგომარეობა. წერილბურჟუაზიული გლეხური მმართველობის წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასრა ბრძოლის გამწვავება დაასუსტებდა ქართველ ხალხს, რასაც ცარიზმი იმისათვის გამოიყენებდა, რომ სრულიად მოესპო საქართველო, როგორც ერი. სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ ისენი ქართველი ხალხის ერთიანობას, რათა მას უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაეწია მეფის თვითმპყრობელობის ნაციონალური პოლიტიკისათვის“. (იხ. ნ. ბერძენიშვილი და სხვები. საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1958. გვ. 555).

ამგვარად პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა სულ ახალი მმართველება, მმართველება. რომლის დროშაზე ეწერა ეროვნული სოციალიზმი. მაშასადამე არჩილ ჯორჯაძე ქადაგებდა ეროვნულ სოციალიზმს, ჩასახულს ქართველი ერის წიაღში, შეგუებულს ქართველ ეროვნულ პირობებთან, მის ისტორიულ წარსულთან, მის ეროვნულ მეურნეობის აღორძინებასთან. მაგრამ არჩილ ჯორჯაძის ეროვნული სოციალიზმი არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს იყო გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, ან ფაშიზმი იტალიაში. მოვიყვანოთ ამის შესახებ მიხეილ წერეთლის სიტყვა: „რასაკვირეველია არჩილ ჯორჯაძის სოციალისტური ნაციონალიზმი არ იყო დღევანდელი ნაციონალ-კოციალიზმი გერმანიაში, ან ფაშიზმი იტალიისა; მაგრამ იგი იყო მეცნიერული საფუძვლის მქონე მოძღვრება, რომელიც ერს სცნობდა იმ მუდმივ საზოდაგობრივ არსებად, რომლის წიაღში იყო შესაძლებელი ყოველგვარი სოციალური ცვლილება. ამ მარქსიზმის სრული საწინააღმდეგო თეორიით განნილული ყოველი საკითხი — კლასთა, მუშათა, გლეხთა და სხვ. — სულ სხვა ნათლით იყო გაშუქებული და პოლეშიკასაც სოციალ-დემოკრატებთან უფრო საფუძვლიანი ხასიათი მიეცა, თუმცა უფრო მკაცრად, რადგან მარქსიზმს ეხლა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე“ (იხ. მ. წერეთელის სტატია: „არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად“, ‼სახალო საქმე“, ბუენოს-აირესი, 1952, გვ. 21).

მართალია, არჩილ ჯორჯაძეს დროშაზე ეწერა სოციალური და ეროვნული ლოზუნგი, მაგრამ მის მოძღვრებაში უფრო ეროვნული სჭარბობდა, ერის უპირატესობა, აქედან გამომდინარე „საქართველო უწინარეს ყოველისა“.

ამ საკითხს თავის დროზე შეეხო სამოციან წლების თვალსაჩინო მოღვაწე გიორგი წერეთელი, რომელიც ამბობდა: „ჩვენს ბედში მყოფი ხალხი, ორივე ხელებით უნდა ეეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს ქართველობას... რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრეყალებში ვყავართ გამოკლული და რუსისხალხიც იმას ცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალოლნით ჩვენ წაგვართვას, უხსოვარ დროიდან, ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება და თავათ დაიქიოს. ამ გარემოების ძალით, ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები, მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენნი ვართ არ განთავისუფლდებიან სხვა, უფრო ძლიერი ნაციის მონობისაგან“ (იხ. ი. მანწყავას სტატია გიორგი წერეთელზე „ქართველი ერი“, № 10-11, ბერლინი, 1944, გვ. 11).

არჩილის მოძღვრება არის ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. ეს ორი ცნება განუყოფელია ერთიმეორისაგან, რადგან არ არსებობს თავისუფლება სოციალური ჩაგვრისაგან ერის თავისუფლების გარეშე. ეს მჩაგვრელი ძალა კი, რომელიც სსაგრავდა ქართველს, საქართველოს, იყო მეგობრულად და მცველად მოწვეული რუსეთი, რომელმაც დაარღვია მეგობრული ეთიკა და მაგრად მოიკალთა ქართული წიაღში. არჩილ ჯორჯაძის მოძღვრებით საჭიროა ერის შემოქმედი ძალების (მუშების, გლეხების, მრეწველების, ვაჭრების, ინტელიგენციის) ჰარმონიული ერთობა, არჩილ ჯორჯაძეს ღრმად სწამდა, რუსული თვითმპყრობელობის დაცემა, აბსოლუტური მონარქიის დარღვევა და ეროვნული თავისუფლების მოპოვება.

არჩილ ჯორჯაძეს თვითმპყრობელობის დანგრევა და მის ნანგრევებზე თავისუფალი საქართველოს აღდგენა, შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ რევოლუციური გზით, ამიტომ მის მიერ დაარსებულ პარტიას ეწოდა „სარევოლუციო“ პარტია.

არჩილ ჯორჯაძემ დასავლეთ ევროპაში საგანმანათლებლო და რევოლუციური მოძრაობა შეუთავსა საქართველოს პირობებს და მისცა მას არა კოსმოპოლიტიკური, რაღაც შორეული ინტერნაციონალური „სოლიდარობის“ ხასიათი, არამედ წმინდა ქართული, ეროვნული.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის შოთხოვნა რუსული რეაქციისა და ორტა დოქსალური მარქიზმის დროს, რომელიც იდგა რუსეთის საერთო სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, მართალაც, რომ გაბედული მოთხოვნა იყო. ამიტომ ასე მძლავრად და სასტიკად ებრძოდა სწორედ საქართველოს სოც. ფედერალისტთა პარტიის რიგებში მყოფ საუკეთესო ინტელიგენციას რუსეთის მთავრობა, რადგან ამ მოთხოვნაში ისენი ხედავდნენ იმპერიის ერთობის დაშლის საშიშროებას ანუ სეპარატიზმს.

ამის დასახასიათებლად მოვიყვანოთ ისევ მიხეილ წერეთლის სიტყვები: სხვათა შორის მიხეილ წერეთელს მოჰკავს ადგილები კაკაესის მეფის ნაცვლის წერილიდან, რაც გაგზავნა მან პეტერბურგში 1910 წელს. აი რა სწერია შიგ: „კაკკასიაში არსებული რევოლუციონერებიდან ინტერნაციონალური პარტიები, სოც. დემოკრატები და სხვანი, არ წარმოადგენენ საშიშროებას იმპერიისათვის, რადგან ისინი მოითხოვენ მდგომარეობის გაუჯარობესებას და ყველანი მოსხენი არიან იმპერიის ფარგლებში დარჩენისა. მაგრამ ყველაზე საშიში არიან ჩვენთვის ნაციონალისტები. ე. წ. სეპარატისტები, რომელნიც სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ თავიანთი ერებისათვის. მათთან ერთად ფედერალისტებიც“ ნაციონალური იდეებით და დამოუკიდებლობის ქადაგებით გამოდან. კაკკასიაში ეს მოძრაობა ყველაზე მძლავრია საქართველოში. ქართველი ნაციონალისტები მეტად მძლავრი გავლენისანი არიან და დიდ საშიშროებას წარმოადგენენ იმპერიის მშვიიდობიანობისათვის. სხვა ერებში ასეთი მოძრაობა ძლიერი არ არის. ამიტომ საჭიროა ამ ძალების სასტიკი განადგურება საქართველოში“-ო.

მიხეილ წერეთელი განაგრძობს: „არ გაუვლია დიდ ხანს და მარილაკე 1910 წლის დასაწყისში დაიწყო ჩვენი სასტიკი დევნა. დაეწინენ „ფედერალისტებს“ და დაიწოოკეს. გაახადგურეს მთელი მათი პრესა, დაანატიმრეს აუარებელი ხალხი. . .

არჩილ ჯორჯაძეს მოძღვრების მთავარი მოტივია აგრეთვე ფედერალიზმის იდეა. თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი, დაფუძნებული მასში შემავალ თვითეულ ერის უფლებისა და ამ უფლების პატივისცემაზე; და არა ბატონობა ფედერაციაში შემავალი რომელიმე ერისა. ამის სამაგალითოდ მიჩნეული იყო შვეიცარია.

არჩილ ჯორჯაძეს ფედერალიზმი ითვალისწინებს უწინარეს ყოველისა კავკასიის ერთა ფედერაციას, ოგებულს ურთიერთ თავისუფალი შეკავშირების საფუძველზე. ამ მოძღვრებას განა დღესაც დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა?

ფედერაცია დიდ ერთან, მით უმეტეს იმ ერთან, რომელიც წინად პატარა ერების მფლობელი იყო — შეუძლებელია. ამის მაგალითია საბჭოთა კავშირი, სადაც არა რუსი ერების უფლებები, სავსებით განადგურებულია და „უფროსი ძმის“ კონტროლის და ბატონობის ქვეშ იმყოფებიან.

***

არჩილ ჯორჯაძე მეტად სათუთი გრძნობის ადამიანი იყო. იგი სწერდა აგრეთვე ბავშვებისათვის. ან რას ამბობს ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში: „. . . „ნაკადულის“ რედაქციამ მიმართა არჩილ ჯორჯაძეს დაეწერა თავის მოგზაურობის ამბავი. არჩილი დიდ ხანს არ თანხმდებოდა.

„ბავშვებთან საქმე არასოდეს არ მჭონია, არ ვიცი, შევძლებ იმათთვის გასაგებად წერას თუ არა“-ო — ამბობდა ის. ბოლოს მაინც დასწერა ინგლისში მოგზაურობის ამბავი და ლონდონის „მეტროპოლიტენში“ შეხვედრა და სხვ.

უფროს კლასის ბავშვებს მაშინ მისი მოთხრობა მოეწონათ. ყველა ჩვენ მწერლებში, შეიძლება ვთქვათ, რომ არჩილ ჯორჯაძე და ოროდინ ეედოშვილი ორივე ნიჭიერი, საბავშვო მწერლობის მნიშვნელობის მცოდნენი, უფრო უბედურნი იყვნენ ცხოვრებაში. არჩილიც და ოროდინიც ორივე ერთი და იმავე სენის — ტუბერკულოზის მსხვერპლი გახდნენ. არჩილს ბავშვობიდანვე არ სწყალობდა ბედი, — მას შემდეგ რაც ხელი დაკარგა და მის თვალწინ დაიხვრჩენენ მისი დები, ორი ერთად ქუთაისის ახლოს, მდინარე წყალწითლაში, მუდამ დარაჯოულად გრძნობდა თავს. მე ვიცნობდი არჩილს, როდესაც ის და მისი მახლობელი მეგობარი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ერთად სწავლობდნენ თბილისის პირველ გიმნაზიაში და ყოველთვის მაკვირვებდა, რა ჰქონდა საერთო მელანქოლიურად განწყობილ არჩილს და მხიარულ ლუარსაბს. მაგრამ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ“ (იხ. ნინო ნაკაშიძე, მოგონებები, თბილისი, 1956, გვ. 90-91).

როგორც ვიცით, 1905 წელს არჩილი საქართველოში ბრუნდება. ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში ამბობს: „1905 წ. საზღვარგარეთიდან ჩამოვედა ავადმყოფი მწერალი არჩილ ჯორჯაძე. არჩილი ემალებოდა მეფის ადმინისტრაციას და ამხანაგებმა გადაწყვეტეს ჩვენთან მოეყვანათ იგი: ჩვენ მაშინ დიდუბეში, საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობდით. ერთი ოთახი მივეჩინეთ ავადმყოფს და არავის ვუშვებდით მასთან, გარდა ძალიან ახლო ამხანაგებისა და მეგობრების“ (იქვე).

საქართველოში ძალიან გართულდა არჩილ ჯორჯაძეს მდგომარეობა. გიორგი ლასხიშვილის ცნობით „ტფილისში დაბრუნებისთანავე გავიგე მეტად სამწუხაროა ამბავი, რომ არჩილ ჯორჯაძე უარესად შეიქმნა. იმეამად ის იმყოფებოდა ბათომში და თურმე კარგა ხანია ლოგინიდან ვერ დგებოდა. ჩვენი ქეყნის და რუსეთის სდვადასხვა ადგილებიდან რედაქციას მოსდიოდა წერილები, რომლებშიც პარტიული ამხანაგები და არაპარტიული ხალხი თანაგრძნობას უცხადებდნენ ავადმყოფ მწერალს და გაგკურნეს უსურვებდნენ. მართის დამდეგს სისიკო მდივნისაგან მომივდა დეპეშა ბათომიდან, არჩილს შენი ნახვა უნდა და ჩამოდიო. იმ ღამესვე ბათომს გავემგზავრე და დილას სასტუმრო „ფრანკიაში“ ვიპოვეი, სადაც არჩილის ბინა იყო. არჩილი იწვა დიდ, მზით უხვად განთბეულ ოთახში. ტყავისა და ძვლების მეტი აღარაფერი იყო, მხოლოდ ფერმიხდილი სახეზე ისევ ძველებურად ანათებდნენ მისი შავი თვალები. სუნთქვად გაძნელებული ჰქონდა და ბევრი ლაპარაკი აღარ შეეძლო. ირგვლივ მჯდომნი ვლაპარაკობდით ერთმანეთში და არჩილი ხანდახან ოროოდე სიტყვით ჩამოგვერეოდა“ (იხ. გ. ლასხიშვილი, მოგონებები, გვ. 282).

არ გაუვლია ამის შემდეგ ათ დღეს არჩილი გარდაიცვალა. „23 მარტს არჩილის გვამი მეგობრებმა და ამხანაგებმა ტფილისში წამოასვენეს; ყოველ სადგურზე მათ ვვდებოდათ აუარებელი ხალხი, ამბობენენ სიტყვებს და ამკობდნენ კუბოს გვირგვინებით და ყვავილებით. 24 მარტს დილით დიდძალი ხალხი მოაწყვა ტფილისის სადგურს. სადგურის წინა მოედანი, დარბაზი დებარკადერი გაჭედილი იყო ხალხით. აქ იყვნენ ყველა პარტიის წარმომადგენლებიც. მატარებელი გაჩერდა. ვაგონნი, რომელშიც ესვენა არჩილი, სწორედ იქ გაჩერდა, სადაც ჩვენ მისი ამხანაგები და რედაქციის წევრები ვიდექით. ბათომელმა მეგობრებმა კუბო გადმოასვენეს და გადმოგვცეს; ახალზგაზრდებმა და მუშებმა ძლივს გაგვიკაფეს გზა და პროცესია გაემართა რუსთაველის პროსპექტისაკენ. მეორე დღეს მოხდა არჩილის დასაფლავება დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. პროცესია უთავლავი ხალხისაგან შესდგებოდა, აუარებელი იყო ვვარგვინები. კუბოს წინ ქალები მიდიოდნენ და ყვავილებს აბნევდნენ.

საოცარი იყო ამ ადამიანის ცხოვრება. მე ის გავიცანი 1901 წელს; მაშინ იყო 27-28 წლისა; მხოლოდ რამოდენიმე წლის წინად დაამთავარა სწავლა და ის იყო გამოვიდა სამწერლო და საპოლიტიკო ასპარეზზე, უკვე მაშინ იყო საშინელი სენით შეპყრობილი და 12 წლის განმავლობაში ჩემ თვალწინ იწვოდა, როგორც ლამპარი. საოცარი ძლიერი სულით ებრძოდა დავრდომილ სხეულს და ერთ წუთსაც არ გაუფდია კალამი ხელიდან, დიდი ნიჭის პატრონს, იშვიათი კეთილშობილებით აღვსილს. არჩილ ჯორჯაძეს ქართველი მუშების ინიციატივით დაუდგეს პატარა ძეგლი მოკლე წარწერით: „არჩილ — მუშებისაგან“ (ვ. ლასხიშვილი).

სახელოვანი გზა განვლო არჩილ ჯორჯაძემ და მის მიერ დაარსებულმა ქართულმა ეროვნულმა და სოციალისტურმა მოძრაობამ, რომელმაც დიდი ილიას ეროვნული დროშა ახალ ვითარებაში გაშალა. „სამოციანი წლების თაობამ აღმართა ეროვნული დროშა, ჩვენ ამ დროშას ხელი ვიღებთ და გვინდა ის ახალ ნიადაგზე გადავიტანოთ . . . ჩვენი ცდა იქნება ეროვნული, დროშა, შეეუფარდოთ ახალ სოციალურ ნიადაგს, ეროვნული დროშა გადავიტანოთ ახალ ელემენტში — ხალხში“.

ქართველმა ერმა მიიღო იგი: „განაგრძო ილიას თაობის მაღლიანი შრომა ახალ და ფართო ნიადაგზე და ჩვენი სამე: ქართული სახალხო საქმე, გამაჯავკვებინი დაგვირგვინდა.

ჩვენ ვნახეთ 26 მაისით გახარება, ქართული სახელმწიფო ქართველმა ხალხმა კელავ აღადგინა . . . ჩვენ ვნახეთ დიდი ზეიმი და განხლებისათვის დიდი მუშაობის დაწყება“ (აკაკი პაპავა).

საქართველო აღსდგა მკვდრეთით. არჩილი ვერ მოესწრო მას, მისმა თაობამ მომდევნო თაობამ, შემდეგში სრულიად ახალმა თაობამ ნახა იგი, მაგრამ მოკლე იყო ეს ბედნიერება. იგი კვლავ დაიმარხა 1921 წლის თებერვალში. . . . შეწყდა ერის ისტორიის მოკლე, მაგრამ ბედნიერი თარიღი.

არჩილ ჯორჯაძე აღარ არის, მაგრამ მისი იდეა ხომ უკვდავია!

ვაშა დიდ მებრძოლს!

მინდია ლაშაური

ᲐᲑᲠᲐᲐᲛ ᲚᲘᲜᲙᲝᲚᲜᲘ

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 77)

ლინკოლნის გაანგარიშებით, შემდეგ, გამამარჯვების შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური თანამდებობები შეიქმნებოდა პარტიის წევრთა შემაკავშირებელ ბაზად, უფრო ადვილი იქნებოდა პარტიის ცენტრალიზაცია და მისი მყარი პოლიტიკური პლატფორმის დამუშავება. 1858 წელს კი მათთვის საერთო მხოლოდ და მხოლოდ ერთი იდეა იყო: მონობის გაერცელების შეზღუდვის საკითხი, რომლუსაც ლინკოლნიც იზიარებდა. ამიტომ, პოლიტიკური გამჭრიახობა მოითხოვდა სხვა საკითხები არ წამოეჭრა და მხოლოდ ამ ერთს, ყველასათვის გამაერთიანებელს ჩასჭიდებოდა. ის ცდილობდა შემოენახა პარტიის მთლიანობა საზოგადოთ, კერძოდ კი 1860 წლის არჩევნებისთვის.

ეს არ იყო ადვილი ამოცანა. მონობის მოწინააღმდეგეები ერთ კუთხეში, ახალი ჩამოსახლების საწინააღმდეგო მოძრაობა მეორე მხარეს, ბუნებრივი სამაბი ხდებოდა პარტიის წიაღში უკმაყოფილების და წინააღმდეგობის. ამ დაჯგუფების წარმომადგენლები არც კი კითხულობდნენ, თუ როგორი იყო პარტიის აზრი და ისე გამოდიოდნენ საჯაროდ, როგორც ეს მათ სურდათ და მოსწონდათ.

ეს აღელვებდა და აწუხებდა ლინკოლნს. ამაში ხედავდა პარტიის რღვევის და არჩევნებში დამარცხების შესაძლებლობას. „მასარსტების რესპუბლიკანელებს თავის ცხვრის იქიდ რამის დანახვა რომ შეეძლოთ, დაინახავდნენ, რომ მათი გამოსვლები ჩვენ გვამარცხებენ ჩრდილო-დასავლეთში, ხოლო ნიუ-ჰამშერის და ოჰაიოს წარმომადგენლები თავს შიკავებდნენ და არ გამოვიდოდნენ გაქცეული მონების კანონის წინააღმდეგ, რადგან ამით ანტიკონსტიტუციონალისტს დაგვწამებენონ“. მხოლოდ ლინკოლნის გამჭრიახობას, პოლიტიკურ ალღოს და მისი მოთმინების ადამიანს შეეძლო ამ ხალხის თავმოყრა და არჩევნებში ერთად გამოყვანა.

ილინოიდან თუ ყურადღებას ვაშინგტონში გადავიტანთ, დავინახავთ უსუსური სურათს. აფორიაქებული კონგრესი, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს ტაქტი და მოთმინება. კონგრესის დაჯგუფებები დაფნდობილ ბრძოლას აწარმოებენ ერთი-მეორეში სწორედ იმ საკითხების გამო, რომელსაც ლინკოლნმა და დუგლასმა შეგნებულად გვერდი აუარეს. ეს იყო წყნარ ოკეანეს რკინისგზის გაყვანა, თავისუფალი ჩასახლების უფლება, შინაური ინტერესების გაუჯარბესება, შემოტანილ საქონელზე გადასახადის დაწესება და სხ. ამ გვარ საკითხებს ეწირებოდა დრო და ენერგია, როდესაც კავშირის არსებობის ბეღი ბეწვზე ეკიდა.

არჩევნების შემდეგ, როდესაც კონგრესში ძველი ბრძოლა განახლდა, კავშირის გულშემატკივრებს გულში ნაღვლად უტრიალებდათ საკითხი: გადაიტანს თუ არა ამ კრიზისს კავშირი? 1858 წ. ჯორჯიის შტატის სენატორმა ივერსონმა, უხეშად დააყენა საკითხი:

„დარწმუნებული ვარ დადგება დრო, როცა მონათმფლობელი შტატები იძულებული იქნებიან, თავისი ინტერესების, უფლების და ბატონობების დასაცავად გამოეყნონ თავისუფალ შტატებს და დამოუკიდებელი კოფედერაცია შექმნან. ამავე დროს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ გამოყოფის დრო არც ისე შორს არის, ამიტომ მე თანახმა ვარ ხმა მივცე წყნაროკეანეს რკინისგზის ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ ის სამხრეთის შტატების გარეშე მოხდება და ჩრდილოეთის საკეთრებად ჩაითვლებაო“.

ასევე შეურიგებელი პოზიცია ეჭირათ ჩრდილოეთ შტატების სენატორებს. ისენი წინააღმდეგნი იყვნენ დაებეგრათ თავისი ამომრჩეველები, რადგან სამხრეთი გამოყოფას აპირებდა.

იგივე მდგომარეობა შეიქმნა თავისუფალ მიწებზე დასახლების კანონის გამო. აღმოსავლეთ რესპუბლიკანელებმა ეს გაიზიარეს ამომრჩეველების მისაზიდათ, თუმცა გრძნობდნენ, რომ ამით დასავლეთს მუშა ხელი მოაკლდებოდა. სამხრეთელი დემოკრატები მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ ამას, რადგან მათი აზრით, შეიქმნებოდა ახალი შტატები, რაც სენატში რესპუბლიკანელების რიცხვს გაზრდიდდა. ეს საკითხიც მონათმფლობელურ და თავისუფალ შტატების საზღვრებზე გაიყინა და ვერავითარ კომპრომისულ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს,

არ. დონაური

მგელი კრავის სამოსელში?

მარტის დასაწყისში მოსკოვმა სულ პირველად აღიარა, რომ, თურმე რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა იმდენად გართულებულა, რომ „ძმურ“ ერთა შორის შეიარაღნბული შეტაკებებსაც აქვს ადგილი. საბჭოთა პრესამ და რადიომ კაცობრიობას შესტირა „ჩინური მრისხანება“, რომ „მოსაზღვრე წითელ არმიელებს ხიშტებით ოცავდნენ ჩინელებიო“ და საერთაშორისო სამართლის და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სიმპატია მოითხოვა.

თუ რუსეთის ლიდერებს დაუჯერებთ მათთვის ველურობა და ბარბაროსობა უცხო ხილი უნდა იყოს! გამოდის, რომ 13 წლის წინ, სწორედ მარტის პირველ დღეებში, ქართველი ახალაზრდობა რუსებს კოცნით და ალერსით გაეკლეტოს და რუსული „თვინიერებით“ და ალერსით შეიღება წითლად თბილისის მწვანე მდელო და არა რუსული ხიშტიდ. ტყვეით და მონგოლური მრისხანებით! ამავე ლოღიკით უნდა ვიფიქროთ, რომ იმავე წლის შემოდგომაზე, ბუდაპეშტში, არა რუსული ტანკები სრესავდნენ თავისუფლების მოყვარულ, შეუიარაღებელ უნგარელებს, არამედ რუსის ალერსით რავბრუდაზეკულები უვარდებოდნენ რუსულ ტანკებს ქვეშ.

რუსული მორალი უეცლელია: მცირეს და შეუიარაღებელს გასრესავს და გაანადგურებს, ძლიერს და შეიარაღებულს კი მოერიდება და მაშინ გაიხსენება, რომ სადღაც არსებობს საერთაშორისო სამართალი და საზოგადოებრივი აზრი. ეს იყო და დარჩა რუსული პოლიტიკის და დიპლომატიის საფუძველი. მისი არსებობის ხუთასუკუნოვან ისტორიას წითელ ზოლათა ხდეს მსგავსი აქტები. ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა ვერ იპოვა თავისი სამოლოო საზღვარი და არც არავითარი იმედია, როდისმე, რომელიმე მოჯანზე შეჩერდება.

მართალია „გალიბერალებული“ კომუნიზმის ლიდერმა 1956 წ. კაცობრიობას ტრადიციული, რუსული ღოჯები უჩვენა, მაგრამ დასავლეთელ კრემლინოლოგებისათვის ეს საკმარისი არ არ აღმოჩნდა და მათი უვიცობის წყალობით თავისუფალ სამყაროში რუსეთის გალიბერალების შესაძლებლობამ ფესვი გაიდგა. არც ჩახოსლოვაკიის დაპყრობამ აუხილა თვალი კრემლინოლოგებს და ამ შემთხვევის გამიც უპასუხისმგებლოდ წაილუღლუღეს: ეს რუსული ზონა არისო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერა ხსნის, თუ ვინ მიუზომა რუსეთს დარატომ აქციეს რუსულ ზონად?

როგორც ცნობილია, რუსეთი დამპყრობელობით აქტებს ხანგამოშვებით იმეორებს. ეს იმისდამიხედვით, პირველს როდის მოინელებს, ამ ხნის განმავლობაში მეორე მსხვერპლი გადასაყლაპავად მზათა ჰყავს.

გასულ აგვისტოში ჩეხოსლოვაკიის ხელმეორედ (პირველს ადგილი ჰქონდა 1948 წ.) დაპყრობას რუსეთმა იდეოლოგიური გამართლება მისცა: ჩახოსლოვაკიის შინაგანი რეფორმები და ნაწილობრივ დემოკრატიულ საფუძველზე გადასვლა მსოფლიო კომუნიზმს საფრთხეში აგდებდაო. უფრო ადრე კომუნისტურმა იუგოსლავიამ უარყო მოსკოვთან ბატონ-ყმური ურთიერთობა და მან მოსკოვის ცენტრალიზმს ერთა თანასწორობის პრინციპი დაუპირპირპირა. იმ დროს შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის წყალობით, ტიტოს განდგომას თვით სისხლის მსმელი სტალინიც შეურიგდა და ვერც მისმა მემკვიდრეებმა უწყალეს რამე. მასშემდეგ ტიტო ცდილობს მოსკოვის მონობაში მყოფ ერებს თთაგონოს, რომ „ცის ქვეშ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს თავისუფალი ცხოვრების უფლება“ და ყოველმა ერმა თვითონ უნდა აირჩიოს „სოციალიზმისკენ მიმავალი გზა“. უფრო გვიან ტიტოს მაგალითს პატარა ალბანიამ მიბაძა, ხოლო რუმინეთი დიდი საფრთხისა და განსაცდელის მოლოდინში, მაინც რუსულ იმპერიალიზმს გაუსწლტება და თავის ბედს თვითონ განაგებს. თავისუფალ ქვეყნებში არსებულ კომუნისტური პარტიების სიტყვა და აზრი „ცენტრმსრბოლი“ კომუნისტების მხარეზეა და არ ერიდებიან მოსკოური სიხარბის და მიმტაცებლობის გაკიცხვას. ამგვარად უვიც კრემლინოლოგების მიერ შექმნილი მსოფლიო კომუნიზმის მონოლიტურობა თვით რუსეთმა აქცია ნაცარ-ტუტად.

ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობას უფრო შორი წარსული აქვს. თანამედროვე რუსული იმპერიალიზმის იდეოლოგი ლენინი სიკვდილის წინა თვეებში სწერდა: ანალიზი გვაჩვენებს, რომ ახლო მომავალში რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობას შექმნის“-ო და მისი წარმოდგენით ეს „უმრავლესობა გადიქცეოდა სოციალიზმის გამარცვების საწინდრად.

მართალია არც ეს პოზიცია ლენინის გონებრივი მიხვედრილობის შედეგი და მან ესეც რუსული იმპერიალიზმის ტრადიციისაგან ისესხა და აღმოსავლეთით გაბავარდების ტრადიციას კი რუსეთი ალექსანდრე მესამეს და მის მინისტრ ვიტეს უნდა უმადლოდეს, მაგრამ, ასეც, რომ არ იყოს, ნიჭიერ დემაგოგს პოლიტიკურ მოვლენათა გათვალისწინების ალღოს

ნიკო ნიკოლაძეს დაბადების 125 წლისთავი

(გადაეცა რადიო „თავისუფლებას“ მიერ)

საქართველოში გადაიხადეს ნიკო ნიკოლაძეს დაბადების 125 წლითაი. სოლომონ ხეცაშვილი თავის წერილში „უკანასკნელი თერგ დაღეულს ეუწოდებს მას და ეს სახელი სამართლიანად ზედ გამოჭრილია გამოჩენილ ქართველ მოღვაწე ნიკო ნიკოლაძეზე. წერილის ავტორს მოჰკავს უფროოდ დაღუბული ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვიდან ადგიეი, როცა მან მცხეთაში მოღვაწის დასაფლავების დღეს, 1928 წლის აპრილის 5-ს თქვა: „ნიკო ნიკოლაძე მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მუხა იყო“-ო.

ნიკო ნიკოლაძე დიდი ილია ჭავჭავაძეს თანამებრძოლი იყო, თერგდალეულთა თვალსაჩინო პლეადის ღირსეული წევრი. ნიკო ნიკოლაძე იყო ევროპულად განათლებული ადამიანი, რომელიც ცდილობდა ამ კულტურის საქართველოში გადმონერგვას, მადგან არა მისი ფოტოგრაფიულად გადმოღებით, არამედ ქართულ ეროვნულ ნიადაგთან შეფარდებით. იგი დემოკრატიულ იდეასა და აზრებს უფარდებდა საქართველოს სინამდვილეს: ამისათვის ითვალისწინებდა ჩვენი ერის წარსულს, აწმყოს და ამ ორი ცნების გაანალიზებით ჰქმნდა და ქადაგებდა იდეას, რომლის გაგზარება ქართულ ეროვნულ წიაღში უნდა ვეძიოთ.

ეროვნება და დემოკრატია, ხალხი და არა მისი რომელიმე კლასი იყო ნიკო ნიკოლაძეს აზროვნების იდეა. ამიტომ ნიკო ნიკოლაძე არის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგად წარმოშობილ ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი იდეოლოგი და მოღვაწე. სოლომონ ხუციშვილი სამართლიანად ამბობს: „ნიკო ნიკოლაძე მსოფლიო ასპარეზზე გავიდა, გაიტანა თავისი სამშობლოს საკითხები და მაბვილი ნიჭითა და ენით ქვეყნის გასაგონად დაიცვა მისი მომავალი“-ო.

ნიკო ნიკოლაძე „გასსეირნებლად“ არ წასულა დასავლეთ ევროპაში. ის აქ შეუდგა ევროპის ეკონომიურსა და სოციალურ საკითხების მეცნიერულად შესწავლას. დაამთავრა რა ციურიხის უნივასიტეტი, მან დისერტაცია დაიცვა ფრანგულ ენაზე და მიიღო დოქტორის მეცნიერული ხარისხი. სადოქტორო დისერტაცია დაიბეჭდა ენეევაში 1868 წ.

პარიზში ყოფნის დროს, ანუ 1873 წელს მან დააარსა პირველი ქართული გაზეთი საფრანგეთში „დროშა“. იგი აქ ქადაგებდა „კავკასიის თავისუფალ ერთა ფედერაციის“ იდეას.

ნიკო ნიკოლაძე თავგამოდებული მომხრე იყო ინდუსტრიალიზაციის და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა საქართველოში. ნიკო ნიკოლაძე სწავლობდა სოფლის მეურნეობის საკითხსაც. მან თავის მშობლიურ სოფელ დიდ-ჯიხაიშში მოაწყო საცდელი მეურნეობა — სანერგე. ის ასწავლიდა მეზობელ გლეხებს მეურნეობის უკეთ მოწყობას. ის უსასყიდლოდ აძლევდა ნერგებს გლეხებს და რჩევა დარიგებას არ აკლებდა მათ.

ნიკო ნიკოლაძემ თავისი ინიციატივითა და საქმის სიყვარულით ააგო ფოთის ნავთსადური, რომელმაც საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა და თამაშობს დღესაც. რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს დიდი, ევროპიულად განათლებული კაცი პატარა ზღისპირა ქალაქის — ფოთის ქალაქის თავი იყო.

საბჭოთა პრესა, დღემდე თავს ესხმოდა ნიკო ნიკოლაძეს, ეხლა კი ცოტა ვეზი შეიცვალა, თუმცა დღესაც ძლივს შორდება ბურუჟაზიული მმართველების დამღა.

საქართველოს ეღირსმა შვილმა, სერგო ორჯონიკიძემ არ დაინდო დიდი მოღვაწე და სრულიად საქართველოს ცაკის საკანგეგმო სესიაზე, 1923 წელს, ნიკო ნიკოლაძეს ირონიულად უწოდა „დამსახურებული საზოგადო მოღვაწე“ და მოითხოვა მას ჩამორთმეოდა სახელი და მამული.

საქართველოში უხდიან რა დამადების დღეს ამ დიდ მოღვაწეს, შეგნებულად გვერდს უვლიან მისი მოღვაწეობის პერიოდს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და დამოუკიდებლობის დროს. მათ უნდათ დავიწყებას მიესცენ 1917-1921 წლების პერიოდი.

ჩვენ ვეცდებით შეძლების დაგვარად მოუთხროთ ამაზე ჩვენს მსმენელებს: როცა 1918 წელს თურქეთთან საზავო მოლაპარაკება სწარმოებდა, კავკასიის დელეგაციის ქართულ შეშმადგენლობაში შედიოდნენ აკაკი ჩხენკელი და ნიკო ნიკოლაძე. 1918 ნიკო ნიკოლაძე იგზავნება ბერლინს. 1920 წელს მას შეხვედრა აქვს გერმანიის მაშინდელ იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრ კიულმანთან.

გერმანიიდან დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას. ის არის ამავე დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების აქტიური წევრი.

1920 წელს ნიკო ნიკოლაძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრ კონსტანტინე კანდელაკთან ერთად, საქართველოს მთავრობის ოფიციალური დავალებით, ხელმეორედ მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში.

ამავე დროს, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე, ნიკო ნიკოლაძეს ატანს თავის მინდობილების სიგელს, რომ მოლაპარაკება იქონიოს ქართული ეკლესიის საქმეზე უცხოეთში, კერძო პირებია ეს, თუ სახელმწიფო დაწესებულებები.

ნიკო ნიკოლაძე იყო ერენული დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი „საქართველოს“ წამყვანი, ხოლო 1925 წ. ნიკო ნიკოლაძე გამომცემლობა „ქართული წიგნის“ ერთერთი დამაარსებელთაგანია.

ილია ჭავჭავაძის დრო.

„დინჯი, აუჩქარებელი, გულის არ ამყოლი, მინამ ენიდან სიტყვა მოსწყდებოდა, მრავალჯერ მოფიქრებული, აწონ-დაწონილი უნდა ჰქონოდა. მრავალგვარ ფერადებით იცოდა სიტყვის მორთვა. თვალი მაჯაკვე ჰქონდა და რაწამს შეატყობდა მსმენელთა მოწყენას ანუ უსიამოვნებას, მაშინვე ფინდს იკელიდა: მკვახე სიტყვას ისროდა და გასაკინებელ რასმე იტყოდა. ხან თუ მედგარი იყო, ულმობელი, შეუპოვარი, უკან დახევაც, — საცა არა სჯოლს გაცლა სჯობს კარგისა ეაკკაცასგან, — კარგად ჰქონდა შეთვისებული. დროზე მაჯვე პასუხი, დროზე მოსწრებული სიტყვა იცოდა ილიამ“.

იაკობ მანსვეტაშვილი

***

„ილია ჭავჭავაძის საჯაარო ლაპარაკი რამოდენიმეჯერ მოვისმინე, საოცარი ორატორი იყო არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძეგლივით ეჭირა. მოპირდაპირეს აშეიათად შეაწყვეტინებდა და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა — უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური, ლაპარაკის მანერა — ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, გამგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური; მოპირდაპირის სუტყ ალაგს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა და ჰგლეჯდა, ათრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა“.

მიხეილ ჯავახიშვილი

საფრანგეთიდან იტყობინებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მწერალი ეკატერინე გაბაშვილის ეაკი

რევაზი

რასაც მწუხარებით ვაუწყვებთ ქართულ საზოგადოებას

იანვრის 3-ს, აბანდონში (საფრანგეთი) გარდაიცვალა ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებული მოღვაწე

კონსტანტინე გვარჯალაძე

თურმე ამას წინ უსწრებდა მისი მეუღლის

ბაბულიას

გარდაცვალება.

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ნათესავებს და მეგობრებს.

განვლილი, 1968 წლის განმავლობაში, რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულებები:

დრ გ. გაბლიანი —325 დოლ. გ. ზალდასტანიშვილი — 100, ნ. თოფურია — 30, ვ. სანგულია — 20, ს. სირელი — 20, დ. შალიკაშვილი — 20, ი. გაფონია —20, ა. ჯინჭარაძე — 10, დ. ახვლედიანი — 10, ს. გაბუნია — 15, ვ. ჯაყელი — 10, ს. კობიაშვილი — 5.

„ქართული აზრის“ რედაქცია უღრმეს მადლობას სწირავს კეთილისმსურველებს და მკითხველ საზოგადოებას აგონებს, რომ გაზეთის ერთად-ერთი წყარო ქართული პრესის მოყვარული მამულიშვილების შემოწირულებაა.

G. A. Press

ლებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.

უმტყუნა. მრავალრიცხოვნად ქცეული ინდოეთი და ჩინეთი საკუთარ ისტორიულ გზას დაუბრუნდნენ და რუსული იმპერიალიზმის, ამ შემთხვევაში, „ლენინური ხალხთა ძმობის და მეგობრობის“ სამსახურში არ ჩადგნენ.

მრავალრიცხოვნად ქცეული და ცოტა წელში გამაგრებულმა ჩინეთმა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთს ძველი თამასუქი წარუდგინა და ანგარიშის გასწორება მოსთხოვა.

800 მილიონად ქცეულ კომუნისტური ჩინეთის ლიდერმა უპირველესად ტერიტორიალური საკითხი წამოაყენა. მაოს აზრით, მეფის რუსეთის მიერ ჩაგენილი მიმტაცებლობა კომუნისტურ მოსკოვს უნდა გამოესწორებინა და მიტაცებული მიწა-წყალი დაებრუნებინა. მოსკოვის იმპერიონდელმა მბრძანებელმა, ლაზნანდარა ხრუშჩოვმა, ლაზნანდარულად უპასუხა მაო ცეტუნელად გამოაცხადა. ეს დაედო საფუძველად საბჭოთა კავშირის დასავლეთელ „სპაციალისტების“ მიერ აღიარებულ ჩინეთ-რუსეთის იდეოლოგიურ ბრძოლას.

სინამდვილეში კი საქმე გვაქვს სუფთა ეროვნულ მომეტტთან. მრავალრიცხოვან ქვეყნად ქცეული პეკინი რუსულ უღელს გამოეშვა, კომუნიზმისაკენ მიმავალი საკუთარი გზა აირჩია და რუსეთთან, ნებით თუ ძალით, აბგარიშის გასწორება გადაწყვიტა.

აზიელ ფანატკოსების წინაშე რუსეთი დაფრთხა, წონასწორობა დაკარგა და „მსოფლიო“ კომუნიზმს მაოს და მისი ჩინეთის დასჯა მოსთხოვა, მაგრამ ევროპიელი კომუნიზმი ვერ დაიყოლია და რუსეთი ორ ცეცხლ შორის აღმოჩნდა: აღმოსავლეთიდან უზარმაზარი ტალღა, დასავლეთელ კომუნისტებში სახელგატეხილი და ნდობადაკარგული.

ამ ვითარებაში მოსკოვმა თავისი ძლიერების ახალი, მოჩვენებითი გზა აირჩია. გზა თანამდროვე ტექნოლოგიის დაფფლების და გაძლიერების. მონად ქცეული და დამშეული ხაბეჭოთა მოსახლეობა იძულებულია მთვარეზე ფერონოს, ან ატომურ იარაღების მზადებას შეალიოს თავისი ბეღკრული სიცოცხლე.

ეს არჩევანი ურიგო არ გამოდგა. მან დასავლეთის თავისუფალი ქვეყნების ყურადღება მიიპყრო და, როგორც ატომური იარაღის მპყრობელ ქვეყანას, მოწიწებით ელაპარაკეენ.

(დასავლეთს და საერთოდ კაცობრიობას ერთი რამ მაორრად მხედველობიდან: ისტორიის ყოველ პარიოდში, ყოველი ქვეყანა, ომისათვის ემზადებოდა და მოსალოდნელი შემოხვევისათვის ახალ-ახალ იარაღს ქმნიდნენ. სამარი ჩარხი მუდამ ბრწყინაში იყო, მაგრამ ისტორიას არც ერთი მაგალითი არ ახსოვს, რომ სამარი ჩარხი თავისთავად აყრილიყოს და მეორე ქვეყნის სამარ ჩარხს დატაკებოდეს. საბჭოთა კავშრის სპეციალისტებმა იგნება დაგვიმტკიცონ, რომ მონა ბატონისათვის ვულშოდგინეთ იბრძოლებს!).

ვიმეორებთ, რუსეთს ვაუმპრთლდა, უკეთ დასავლეთის უნიეჩო და უვიც „სპეციალისტებმა“ გაამართლებინეს. თუ მოსკოვმა დასავლეთელ კომუნისტებში ნდობა დაკარგა და ვარიაყეული დარჩა, სამაგიეროდ მას დასავლეთელი კაპიტალიზმი ამოუდგა მხარში და მას ნდობას და დახმარებას არ აკლებს. ერთი შეხედვით, თითქოს, წონასწორობა დაცულია და რუსეთს არამც თუ არ დაუკარგავს, არამედ კიდეც მოუგია!

მოვლენათა ფრთხილი ანალიზი კი გვაჩვენებს, რომ რუსული იმპერიის შემოდგომა დამდგარია.

ჩვენი ეპოქა იმპერიების დანგრევის და მის ნანგრევებზე ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობის ეპოქაა. ეროვნულ სახელმწიფოებრიობის ხორც შესმელ ფიტი ვერც რუსული ტანკები, ვერც რუსული ხიშტი, ვერც მათი ტექნოლოგია ვერ მოჰკლავს. ის რკინის ფარდასაც შეარღვევს და ძლევამოსილების ბრწყინვალებით მოეფინება რუსეთის მიერ დამონებულ ერებს.

ეს დროს საკითხია იტყვის ბეჭითელი. ჭეშმარიტად დროს საკითხია. ამისათვის საჭიროა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების, და კერძოდ ქართველი ერის მოთმინება გადასწვდეს ამ დროს.

ოტიმ-ხანი